

ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა

მიზნობრივი პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონის გაჯანსაღებისათვის მიმართული აქციების განხორციელებას - მე-3, მე-4, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებისას ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას. მე-3 შვილის დაბადებისას გაიცემა 500 ლარი, მე-4 შვილის დაბადებისას - 700 ლარი, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებისას - 900 ლარი.

პროგრამაში ჩასართველად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ყველა ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
4. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მშობელი არ არის რეგისტრირებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ცნობა შესაბამისი მუნიციპალიტეტიდან, რომ ანალოგიური პროგრამით არ უსარგებლია.